დიად დღესასწაულს მოგილოცავთ, მეგობრებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 219 (4213)

1970 წ. 7 ნოემბერი. შაბათი. ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 53 წლისთავს!

გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!

გ. იაშვილის ნახატი.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას

ბუხარესტში მივესალმები დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას 25 წლისთავის იუბილეს გამო.

ფედერაციის ასაკი — ეს არის ასაკი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაბადებული ახალგაზრდობის დღევანდელი თაობისა. ამ ომში მსოფლიოს ხალხებმა გაანადგურეს გერმანიის ფაშიზმი და იაპონიის მილიტარიზმი, დაიწყეს ახალი ეტაპი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისთვის ბრძოლაში. ამ მიზნებმა გააერთიანა სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკური და იდეური მრწამსის ახალგაზრდობა მებრძოლი, ფართო და დემოკრატიული საერთაშორისო ორგანიზაციის რიგებში.

დღეს, ისევე როგორც მეოთხედი საუკუნის წინათ, მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობა თავის მომავალს უკავშირებს ხალხების, პროგრესისა და სოციალიზმის ძალების წარმატებებს მათს ისტორიულ ბრძოლაში იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებთან, რომლებიც ხელს უშლიან ისტორიის წინსვლას და საფრთხეს უქმნიან ახალგაზრდა თაობის ბედნიერ მომავალს.

დიდი ლენინი, რომლის დაბადების ასი წლისთავი ღირსეულად აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის ფართო მასების მონაწილეობას სამყაროს რევოლუციურ გარდაქმნაში. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ანდერძის ერთგულ კომუნისტებს ახალგაზრდობა მიაჩნიათ საერთო-დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბრძოლის აქტიურ მონაწილედ.

ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სამყაროში არსებული წესრიგის წინააღმდეგ ახალგაზრდობის გამოსვლების მძლავრი ზრდა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელოვან ფაქტორს. იგი მოწმობს, რომ დრომოჯმულ წყობილებას არა აქვს საიმედო დასაყრდენი ჩვენი პლანეტის მოზარდ თაობაში. და მაინც მარტოოდენ უკმაყოფილება და პროტესტი საკმარისი არ არის, რომ ნამდვილად გარდავქმნათ სამყარო პროგრესულ საწყისებზე. ახალგაზრდობას შეუძლია რეალურ წარმატებებს მიაღწიოს თავისი უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში, თუ სწორად გაიგებს ისტორიული განვითარების მსვლელობას, განამტკიცებს თავისი დემოკრატიული მოძრაობის რიგების ერთიანობას, მუდამ იზრუნებს მუშათა მოძრაობასთან, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, მთელ რევოლუციურ და გარდამქმნელ ძალებთან ურთიერთობის გაძლიერებისთვის.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია თავისი უფლებებისთვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისთვის, სოციალური პროგრესისა და თავისუფლებისთვის პროგრესული ახალგაზრდობის ერთიანობისა და აქტიური ერთობლივი მოქმედების კონკრეტული განსახიერებაა. იგი გამოხატავს ახალგაზრდობის საერსებო ინტერესებს, მის ძირითად მისწრაფებებსა და იმედებს.

ფართო აღიარება ჰპოვა ფედერაციის საქმიანობამ ამერიკელი აგრესორებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ გმირი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად, მისმა სოლიდარობამ არაბული ქვეყნების ხალხებთან, რომლებიც იბრძვიან ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარდაჭერას რომ ეურდნობა. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია თანმიმდევრულად უჭერს მხარს ანგოლის, მოზამბიკის, გვინეის (ბისაუს) და სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდა პატრიოტებს, ფაშისტური, დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ მამაც მებრძოლებს. იგი მხარს უჭერს ყველა იმ ხალხს, რომლებიც თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავენ. ფედერაცია მოუწოდებს ევროპის ახალგაზრდა თაობას აქტიურად იმოქმედოს ამ კონტინენტის მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისთვის მებრძოლი ძალების მხარდასაჭერად.

ფედერაცია კეთილშობილურ მისიას ასრულებს, ახალგაზრდობაში რომ განამტკიცებს ინტერნაციონალიზმის გრძნობას, თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების დამცველი ყველა ხალხის ბრძოლაში ძმური მონაწილეობის გრძნობას.

ვუსურვებ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას სახელოვან იუბილეს, გამოვთქვამ რწმენას, რომ თავისი სახელოვანი ტრადიციების ერთგული ფედერაცია კვლავაც გაიყოლიებს ახალგაზრდობის ფართო მასებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისთვის, დემოკრატიისთვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისთვის, ახალგაზრდობის უფლებებისთვის ბრძოლის გზით.

ვუსურვებ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციას შემდგომ წარმატებებს!

ლ. ი. ბრეჟნევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲔᲮᲣᲚᲝᲓ ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲯᲓᲐᲜᲨᲘ...

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. საქართველოს პირველობა მძლეოსნობაში. მეორე და მესამე დღე (4-5 ნოემბერი).

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. **რბენა. 200 მ.** ვ. გოლობოროდკო („დინამო“) — 25,8, ლ. კორკოტაძე („ბურევესტნიკი“) — 26,2; **400 მ.** კორკოტაძე — 59,6, გოლობოროდკო — 1.00,6, ლ. სემირნენინა („სპარტაკი“) — 1.01,7; **1500 მ.** რ. შამოევა („განთიადი“) — 5.23,4, ლ. მაკაროვა („ლოკომოტივი“) — 5.31,8, ჟ. საკუროვა (სპორტსკოლა-ინტერნატი, პირადი) — 5.34,8; **4×100 მ ესტაფეტა.** „ბურევესტნიკი“ (კორკოტაძე, თ. რეფერდი, მ. გელაშვილი, თ. ეპიფანოვა) — 51,2, „დინამო“ — 52,0, „განთიადი“ — 52,8; **100 მ თარჯრბენი.** ლ. იევლევა („სპარტაკი“) — 14,4, რ. ჩუბინიძე („განთიადი“) — 14,9, რეფერდი — 15,0; **შუბის ტყორცნა.** დ. სიბაური — 46,52, გ. ხევსურიშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 42,24, თ. ვალიევა („განთიადი“) — 32,98; **ბადროს ტყორცნა.** ლ. ტუღუში („დინამო“) — 51,42, ი. მხეიძე („სპარტაკი“) — 42,88, ნ. ნამიჩეიშვილი („ბურევესტნიკი“, პირადი) — 41,70; **სიგრძეზე ხტომა.** ც. ჩოლიაშვილი („სპარტაკი“)— 612, იევლევა — 611, ვ. ფედოსეენკოვა („დინამო“) — 540; **ხუთჭიდი.** ფედოსეენკოვა — 3625.

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ. **რბენა. 200 მ.** თ. მდინარაძე („ბურევესტნიკი“) — 22,2, ტ. ბახტაძე — 22,7, გ. სტეპანოვი (ორივე — „სპარტაკი“) — 22,8, **400 მ.** მდინარაძე (პირადი) — 50,2, ბახტაძე — 51,4, ლ. გლადილინი („დინამო“) — 51,9; **800 მ.** ზ. ქავზინაძე („ბურევესტნიკი“) — 1.56,1; ა. ვაენიჩენკო („დინამო“) — 1.59,6, გ. ხარაზიშვილი („კოლმეურნე“)—2.00,9; **5000 მ.** ვ. ნესტერენკო — 15.00,6, ე. გატკოევი (ორივე — „განთიადი“) — 15.12,8, ნ. დავიდენკო („ბურევესტნიკი“)—15.24,8; **ესტაფეტა. 4×100 მ.** „ბურევესტნიკი“ (ვ. ქავთარაძე, ი. მინეევი, ზ. თავბერიძე, მდინარაძე) — 43,5, „დინამო“ — 44,2, „სპარტაკი“ — 44,8; **4×400 მ.** „ბურევესტნიკი“ (ნ. ძიმა, შ. მოშიაშვილი, თავბერიძე, რ. ბრმეგონაშვილი) — 3.29,2, „დინამო“ — 3.31,1, „კოლმეურნე“ — 3.40,4; **3000 მ წინაღობებით.** ა. მიქოიანი („ბურევესტნიკი“) — 9.28,4, ნ. პერეპელიცინი („დინამო“) — 10.17,2, ზ. წვენიაშვილი („ბურევესტნიკი“) — 10.24,8; **110 მ თარჯრბენი.** ა. მოშიაშვილი („დინამო“) — 14,7, ვ. ფედოროვი (ასკ, პირადი) — 15,3, ზ. ალხანიძე („კოლმეურნე“) — 15,5; **20 კმ სპორტული სიარული.** ვ. სანიკიძე („ბურევესტნიკი“) — 1:34.56,6 (საბუკთა რესპუბლიკური რეკორდი), გ. მაკიევი („ბურევესტნიკი“) — 1:36.50,0, ი. პუტინცევი („სპარტაკი“) — 1:39.15,0; **სიმაღლეზე ხტომა.** თ. მდივანი („სპარტაკი“) — 195, ბ. კრასნოვი („დინამო“)— 195, ვ. პოპოვი („შრომითი რეზერვები“) — 190; **ჰოკეთ ხტომა.** მ. თათევოსიანი („კოლმეურნე“) — 440, ნ. ჩეკუშკინი („ბურევესტნიკი“) — 380, ლ. გუგეშაშვილი („დინამო“) — 370; **ბადროს ტყორცნა.** გ. გუდაშვილი („დინამო“) — 53,32, ვ. ტარანი („განთიადი“) — 49,22, ნ. ნაზღაიძე („ბურევესტნიკი“) — 45,28; **ბირთვის კვრა.** მ. ოყროშიძე — 17,86, ვ. მაისურაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“) — 16,39, რ. კეთილაძე („კოლმეურნე“) — 14,99; **ათჭიდი.** ი. დიაჩკოვი („დინამო“) — 7484, გუგეშაშვილი — 6028, ა. კუცოვი („ბურევესტნიკი“) — 5782.

თ. მდინარაძის ფინიში.

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ. „ბურევესტნიკი“ — 313 ქულა, „დინამო“ — 265, „სპარტაკი“ — 147, „კოლმეურნე“ — 71, „განთიადი“ — 63, „ლოკომოტივი“ — 14, „შრომითი რეზერვები“ — 11.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელმაც მოისმინა კომიტეტის თავმჯდომარის კ. ანდრიანოვის ინფორმაცია შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ოქტომბერში ჩატარებული საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) აღმასკომის სესიის შედეგებზე.

სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე საბოლოოდ გადაწყდა, რომ ოლიმპიური კონგრესი ბულგარეთში გაიმართოს 1973 წლის გაზაფხულზე ან შემოდგომით. კონგრესის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია შეტანილი: „ოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაცია და სამოყვარულო სპორტის განვითარება მთელს მსოფლიოში“; „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ამოცანების, ვალდებულებებისა და მოდვაწეობის სფეროს განსაზღვრა“; „ოლიმპიური თამაშების შემდგომი განვითარების საკითხების განხილვა“.

კონგრესის მოსაწყობად შექმნილია მოსამზადებელი კომიტეტი, რომელსაც სოკ-ის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სოკ-ის სამი ვიცე-პრეზიდენტი—მ. კილანინი, ხ. ვან კარნებეკი, ჟ. ბოშონი, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები—ტ. კელერი (აკადემიური ნიჩბოსნობა), ს. როუზი (ფეხბურთი), რ. რასელი (კრივი) და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თავმჯდომარეები კ. ანდრიანოვი (სსრ კავშირი), ჯ. ონესტი (იტალია), გ. ადეფონი (ნიგერია).

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სოკ-ის წევრები, აგრეთვე, საერთაშორისო სპორტული ფედერაციებისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ორ-ორი წარმომადგენელი.

დანარჩენი საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების წარმომადგენლები კონგრესს დაესწრებიან, როგორც მეთვალყურენი ან სტუმრები.

სოკ-ის აღმასკომმა ოლიმპიურ თამაშებში მედლების განაწილების არსებულ წესში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა. ახლა თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა მედალი, ხოლო გუნდის წევრები დიპლომებს მიიღებენ. ტანმოვარჯიშეები ოლიმპიურ თამაშებში აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის და ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონობისთვის ტურნირების გარდა, დამატებით დამოუკიდებელ გუნდურ შეჯიბრებებს გამართავენ.

საერთაშორისო სპორტული ფედერაციების თხოვნით სოკ-ის აღმასკომმა გაზარდა მონაწილეთა მაქსიმალური რიცხვი, რომლებიც თამაშებში მედლებით დაჯილდოვდებიან — 20 სპორტსმენამდე შაიბიან ჰოკეიში, 13-13 მოთამაშემდე — ფეხბურთსა და ბალახის ჰოკეიში.

სოკ-ის აღმასკომმა მოისმინა საპოროს 1972 წლის თეთრი ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში და დაამტკიცა შეჯიბრების საბოლოო პროგრამა.

საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებმა სოკ-ის აღმასკომს გარანტია მისცეს, რომ დაცული იქნება უკლებლივ ყველა სახელმწიფოს ალმის აღმართვის ცერემონიალი და შესრულდება ჰიმნები.

სოკ-ის აღმასკომმა პრინციპში მოიწონა სამოყვარულო ოლიმპიური ქარტიის ახალი წესები, რომლებიც შესაბამის საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან შეთანხმების შემდეგ საბოლოოდ დამტკიცდება სოკ-ის სესიაზე 1971 წლის სექტემბერში ლუქსემბურგში.

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ

როგორც ვიუწყებოდით, მთამსვლელობაში სსრ კავშირის ჩემპიონობა ლენინგრადის ოლქის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა (ხელმძღვანელი ფ. ჟიტენიოვი) დაისაკუთრეს. გაირკვა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობაც. ვერცხლი მოიხვეჭეს „ტრუდის“ მთამსვლელებმა (ხელმძღვანელი ვ. ონიშჩენკო), რომელთაც დალაშქრეს კომუნიზმის პიკი (7495 მ). ბრინჯაოს მედლის ლაურეატები გახდნენ „ლოკომოტივის“ წარმომადგენლები (ხელმძღვანელი ო. ხუდიაკოვი). მათ წარმატებით დაძლიეს პამირის მწვერვალი ხან-თენგრი.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში 56 გუნდი მონაწილეობდა.

ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ Ს�პᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲰᲘᲓᲐᲕᲔᲜᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც კიშინიოვში გაიმართა, საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. საქართველოს ათლეტებმა პირად ჩათვლაში 2 მეორე, 4 მესამე, თითო მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეცხრე ადგილი დაიკავეს და 40 საჯარიმო ქულით გუნდურ ჩათვლაში ყველას გაუსწრეს. II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები (47 ქულა), III—ბელორუსიელები (51), IV — ყაზახეთის (60), V — უკრაინის (67), VI — სომხეთის (67 ქულა) სპორტსმენები.

საქართველოს სპორტსმენთაგან განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან გ. გუდაძე (52 კგ-მდე წონით კატეგორიაში) და ნ. ძიმისტარიშვილი (100 კგ), რომლებმაც პირად ჩათვლაში II ადგილები მეტად ძლიერ სპორტსმენებთან ბრძოლაში მოიპოვეს. კარგად იჭიდავა ბრინჯაოს მედლის მფლობელმა რ. მორჩილაძემ (62 კგ).

ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲔᲑᲘ — ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ალუშტაში მძლეოსნებმა იასპარეზეს. 15 კოლექტივს შორის საქართველოს სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში VII ადგილი (24.597 ქულა) დაიკავეს. საქართველოს ნაკრებს გაუსწრეს უკრაინის (36.626 ქულა), ესტონეთის (32.205), რსფსრ-ს (32.012), ლატვიის (30.848), ლიტვისა (28.781) და ბელორუსიის (27.582) გუნდებმა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 25 მძლეოსანმა და მათგან 23-მა გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცა.

ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

სოფლის სპორტსმენთა წლევანდელი საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამაში შედის 5 სავალდებულო (თავისუფალი ჭიდაობა, ველოსპორტი, ცხენოსნობა, მძლეოსნობა და ძალოსნობა) და 6 არჩევითი სახეობა (კლასიკური ჭიდაობა, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთი, ვაჟთა ხელბურთი, ჭადრაკი და შაში). 6 არჩევითი სახეობიდან კომპლექსურ ჩათვლაში სავალდებულო სახეობებთან ერთად შევა სამი საუკეთესო შედეგი. ჯერჯერობით შეჯიბრებები გაიმართა 4 სახეობაში: ცხენოსნობაში (საქართველოს ნაკრებმა II ადგილი დაიკავა). ველოსპორტში (VIII), მძლეოსნობაში (VII) და კლასიკურ ჭიდაობაში (I). აღნიშნულ სახეობებში გამართული შეჯიბრებების მიხედვით კომპლექსურ ჩათვლაში ნაკრები გუნდების მდგომარეობა ჯერჯერობით ასეთია: I. რსფსრ — 7 საჯარიმო ქულა, II. უკრაინა — 14, III. საქართველო — 18, IV. ბელორუსია— 20, V. ესტონეთი — 24, VI. მოლდავეთი — 30, VII. ლატვია — 33, VIII. ყაზახეთი — 34, IX-X. ლიტვა და სომხეთი — 36-36, XI-XII. აზერბაიჯანი და უზბეკეთი — 43-43, XIII. ტაჯიკეთი — 45, XIV. ყირგიზეთი — 47, XV. თურქმენეთი — 50.

დანარჩენ სახეობებში შეჯიბრებათა კალენდარი ასეთია: მოჭადრაკეები იასპარეზებენ 10-23 ნოემბერს ბელცში, მოშაშეები — 10-23 ნოემბერს კოტოვსკში, თავისუფალი სტილის მოჭიდავეები და ძალოსნები — 18-23 ნოემბერს კიშინიოვში, ხელბურთელები — 10-24 ნოემბერს ლუცკში, ფრენბურთელი ქალები და ვაჟები — 13-28 ნოემბერს ვილიანდში.

ᲮᲕᲐᲚ ᲛᲘᲨᲙᲝᲚᲪᲘᲡ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ

ხვალ უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში სტარტს აიღებს იუნიორ მოკრივეთა პირველი ევროპული ჩემპიონატი. ამ საინტერესო ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს 21 ქვეყნის 160 სპორტსმენი. სსრ კავშირის ნაკრები უკვე გაემგზავრა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში. გუნდის შემადგენლობაში არიან: ე. დუბროვსკი (მინსკი), დ. ტოროსიანი (ერევანი), ა. ლევიშჩევი (სევასტოპოლი), ა. ანდრიანოვი (ყაზანი), ჰ. იეოკინი (სარატოვი), ლ. ტლეუბაევი (ყარაგანდა), ვ. დავიდოვი, ვ. ლემეშევი (ორივე — მოსკოვი), ნ. პანფილოვი (სამარყანდი), ჯ. შპილიოვი (ფერგანა), ვ. ვოლკოვი (ვოროშილოვგრადი).







ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ჩვენ, ბოლო ჩვენ, ჯერ ჩვენ

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატი ფინიშს მიუახლოვდა. 5 ნოემბრის მატჩებმა ბევრ რამეს მოჰფინა ნათელი, მაგრამ მთავარი — თუ ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ოქროს მედლების პრეტენდენტებს— მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკა-ს, ძალზე მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდათ თავიანთი კანდიდატურების შესანარჩუნებლად ამ უმაღლეს დონეზე. დინამოელებმა, რომლებიც ორჯონიკიძეში სვდებოდნენ იქაური „სპარტაკს“, უფრო ადრე დაამთავრეს თამაში. 2 უაღრესად საჭირო ქულის აღება მათ ძალზე გაუჭირდათ. მასლოვისა და კოზლოვის მიერ გატანილ 2 ბურთს მასპინძლებმა ერთით უპასუხეს (ყოჩიევი) და მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 2:1.

კიდევ უფრო ძნელი იყო ცსკა-ს მატჩი ვოროშილოვგრადში ადგილობრივ „ზარიასთან“. არმიელთა „საჩემპიონო“ ქულა იხსნა ფედოტოვმა. რომელმაც ერთადერთი ბურთი „ზარიას“ კარში გაიტანა შესვენების შემდეგ. მასპინძლებს შეეძლოთ წარმატების მოპოვება, მაგრამ ვერ გამოიყენეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი. „ზარიას“ მოთამაშეთაგან თავი გამოიჩინა გუნდის კაპიტანმა ი. საბომ, რომლისთვისაც ეს მატჩი უკანასკნელი იყო დიდ ფეხბურთში.

ჩვენი ქვეყნის შარშანდელმა ჩემპიონმა და ახლანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა — მოსკოვის „სპარტაკმა“ დამარცხება განიცადა როსტოვში ადგილობრივი არმიელებისგან — 0:1. ამ ერთადერთი გოლის ავტორი იყო ბონდარენკო.

კარგად ითამაშა საკუთარ მინდორზე „შახტიორმა“, რომელმაც ანგარიშით 4:2 დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს პილიპჩუკმა (2), კოზინკევიჩმა და იურევსკიმ. ტორპედოელთა მხრივ თავი გამოიჩინა შალიმოვმა (2).

ერევანში ერთმანეთს შეხვდნენ „არარატი“ და „ჩერნომორეცი“. მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1. ანდრიასოვის მიერ 11-მეტრიანი დარტყმით გატანილ ბურთს „ჩერნომორეცმა“ უპასუხა პროკოპენკოს გოლით.

მინსკის „დინამომ“ ტაშკენტში დაამარცხა „ფახთაქორი“. გამარჯვებულებმა გიატანეს 2 გოლი (ტოლეიკო, სახაროვი), დამარცხებულებმა — 1 (ისაკოვი).

ახლა „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში ჩასატარებელი დარჩა 2 მატჩი: ცსკა — „ნევთჩი“ და „დინამო“ (თბილისი) — „არარატი“. თუ ცსკა-მ მოიპოვა გამარჯვება, ისევე როგორც 1964 წელს, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ შორის, საჭირო გახდება დამატებითი მატჩის ჩატარება ჩემპიონის წოდებისთვის: „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა.

9 ნოემბრის შეხვედრათა შემდეგ გამოვლინდებიან დიდ ფეხბურთში დაწესებული სპეციალური პრიზების მფლობელნი, მაგრამ უკვე ახლა შეგვიძლია მივულოცოთ 1970 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერობა თბილისის „დინამოს“ ცენტრალურ თავდამსხმელს გივი ნოდიას, საქმე ისაა, რომ გ. ნოდიას ამჟამად გატანილი აქვს 17 ბურთი. 15 გოლია მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდის ვ. კოზლოვის ანგარიშზე.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ჯგუფი



და მაინც — IV ადგილი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) 1:0 (1:0).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ზენიტი“: შაპოვალენკო, ბულავინი, ლოხოვი, გოლუბევი, ზაგუმენიხი, სადირინი, კოხი, ვიუნი, ბურჩალკინი (მასლოვი), სტრეპეტოვი, უნანოვი.

მსაჯი პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:2 „დინამოს“ სასარგებლოდ.

განვლილ მატჩს „ზენიტთან“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ორივე გუნდისთვის. მის შედეგს გარკვეული ცვლილებების შეტანა შეეძლო გათამაშების ცხრილში და ამიტომ აქ თავისებური „პარალელური ჩათვლა“ ხდებოდა სხვებისთვისაც.

ვთქვათ, დინამოელებს დაემარცხებინათ „ზენიტი“ ანგარიშით 3:0 (რაც არაერთხელ მომხდარა ჩვენს სტადიონზე), ხოლო „ჩერნომორეცს“ ემარჯვა ერევანში და 2 ბურთი გაეტანა „არარატის“ კარში. მაშინ ლენინგრადელები და ოდესელები ადგილებს იცვლიდნენ ერთმანეთს შორის და I ჯგუფში გადასვლა მოუწევდა არა „ჩერნომორეცს“, არამედ „ზენიტს“. უკვე ამ გარემოებამ აიძულა სტუმრები კონკრეტული ამოცანა დაესახათ მატჩის შედეგის მიმართ — თუნდაც წაგება, მაგრამ მხოლოდდამხოლოდ მინიმალური სხვაობით. ეს მათ ხელს აძლევდა.

დინამოელები კი გამარჯვებისთვის იბრძოდნენ, ვინაიდან 5 ნოემბრისთვის შექმნილ სატურნირო მდგომარეობაში მათაც კონკრეტული მიზანი ჰქონდათ— ორივე დარჩენილი მატჩის მოგება ჩემპიონატში IV ადგილზე გასასკლეულად.

როგორც სედავთ, პრინციპული ხასიათის მოსაზრებანი ორივე გუნდს ვაჩნდა. ამ ამოცანებს მატჩი დიდი ბრძოლის სარბიელად უნდა ექცია და, თუმცა, ყველაფერი მოხდა ისე როგორც მეტოქეებს სურდათ, ე. ი. „დინამომ“ გაიმარჯვა, „ზენიტმა“ მინიმალური ანგარიში გაინაღდა, დიდი ბრძოლისა კი მინდორზე ნატამალიც არ იყო. თამაში გამოდგა უინტერესო, უფერული, მოკლებული ლამაზ სანახაობით მხარეს.

ლენინგრადელებმა პირველივე წუთებიდან პასიური დაცვის ტაქტიკა აირჩიეს. თითქმის მთელმა გუნდმა, ბურჩალკინმა და უნანოვმაც კი, უკან დაიხია და საჯარიმო მოედნის სიახლოვეს ჩაჯდა. დინამოელებს არ აძლევდნენ ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას, რისთვისაც ხშირი იყო წესის დარღვევა (5 ჯარიმა 5 წუთში „ზენიტის“ მხარეს), ბურთის აუტში გადაგდება და ა. შ. მასპინძლებმა ზედიზედ რამდენიმე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კარზე, ერთ-ერთი მათგანისას ასათიანმა შორი შახძილიდან დაარტყა. შაპოვალენკომ ნახტომში აიღო ბურთი, მაგრამ ვერ გააჩერა იგი ხელში და გ. ნოდიამ ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

სტუმრებმა მაშინვე გარდაქმნეს ტაქტიკა. ისინი მიხვდნენ, რომ პასიური დაცვისგან კარგი არაფერი გამოვიდოდა, ამიტომ წინ გადაიტანეს თამაში, გაათანაბრეს მდგომარეობა და აამოქმედეს თავდასხმელები. ამის შემდეგ ბურთი შუა მინდორში ტრიალებდა და დინამოელებს მხოლოდ ეპიზოდური შეტევები დარჩათ, სადაც გამოირჩეოდნენ ლ. ნოდია და მაჩაიძე.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბრძოლა გამოცოცხლდა. თბილისელებმა რამდენიმე სწრაფი კომბინაცია განახორციელეს მარცხენა ფლანგზე, ლენინგრადელებმა ისევ გააძლიერეს დაცვის ხაზები, მაგრამ 10-15 წუთის შემდეგ თამაშმა კვლავ მინდვრის შუაგულში გადაინაცვლა და საერთო სიმწვავე ჩაქრა. დარჩენილი დრო საკმაოდ უშინაარსო ბრძოლაში, უშედეგოდ მიმდინარეობდა. ანგარიში 1:0 „დინამოს“ სასარგებლოდ აღარ შეცვლილა.

რ. ჟორიძე.

* * *

სურათზე: გადამწყვეტი გოლი „ზენიტის“ კარში. ლოხოვის (№ 8) პოზა ნათლად გამოხატავს საყვედურს მეკარის მიმართ, რომელმაც ხელიდან გაუშვა აღებული ბურთი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მატჩი გაქოში

ქუთაისის „ტორპედოს“ გათამამების ბოლო შესვედრა ქონდა ბაქოში, ადგილობრივ „ნევთჩისთან“.

მატჩი მიმდინარეობდა ბაქოელთა უპირატესობით. ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა მარქაროვმა, შემდეგ მე-40 და 78-ე წუთებზე 2 ბურთი გაიტანა შევჩენკომ, რის შემდეგ მარქაროვმა კიდევ ერთხელ აიღო „ტორპედოელთა“ კარი.

85-ე წუთზე ერთი საპასუხო ბურთი „ნევთჩის“ კარში გაიტანა აღადაშვილმა.

ვინ გადავა უმაღლეს ჯგუფში?

ჩვენი ფეხბურთის უმაღლეს ლიგაში გადასვლაზე „ა“ კლასის I ჯგუფიდან პრეტენზია აქვს სამ გუნდს — ლვოვის „კარპატის“, ალმა-ათის „ყაირათის“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“. სამივე პრეტენდენტმა 4 ნოემბერს გამართულ ტურში მოიპოვა გამარჯვებები. „კარპატიმ“ მოუგო თბილისის „ლოკომოტივს“ (2.0), „ყაირათმა“ — ხაბაროვსკის არმიელებს (3:1) და „დნეპრმა“ — კრასნოდარის „ყუბანს“ (5:0).

ლვოველებს თადარიგში აქვთ შეხვედრა ყარაგანდაში იქაური „შახტიორთან“. თუ ისინი აიღებენ თუნდაც 1 ქულას, მაშინ მათთან ერთად „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში შევა „ყაირათიც“, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების გაცილებით უკეთესი სხვაობა აქვს, ვიდრე „დნეპრს“. მაგრამ თუ „კარპატი“ დამარცხდა, ეს 3 გუნდი ერთ წრედ ჩაატარებს დამატებით ტურნირს, სადაც გამოვლინდება უმაღლესი ლიგის 2 ახალი წევრი.

გამარჯვებით დაიწყეს

სიმფეროპოლი, 5 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დაიწყო „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშების ფინალური ნაწილი ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის.

ტურნირის პირველ დღეს უკრაინისა და ბელორუსიის ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა უკრაინელთა გამარჯვებით — 3:0. რსფსრ-ს ნაკრებმა მოუგო მოლდავეთის გუნდს — 1:0.

საქართველოს ფეხბურთელთა პირველი მეტოქე იყო სომხეთის ნაკრები. საქართველოს გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ბურთი გიატანა ბუზალაძემ.

სარბიელზეა 12 წლის ნინა დრონოვა

ლენინგრადში დამთავრდა ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საკავშირო შეჯიბრება. თავი გამოიჩინა თბილისელმა გოგონამ ნ. დრონოვამ, რომელმაც ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობისას გაიმარჯვა ორძელზე, ბჯენით ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. მრავალჭიდში იგი მეორე იყო ო. ვოროშილინას შემდეგ. თავისი ასაკისთვის გასაოცარ ილეთებს ასრულებს ეს 12 წლის გოგონა. მან ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში მიიპყრო ტანვარჯიშის სპეციალისტთა ყურადღება. რაც დრო გადის, მწვრთნელების ს. ბურჯანაძისა და ვ. კლიმოვას ხელმძღვანელობით დრონოვა სულ უფრო სრულყოფს ოსტატობას. ჩვენმა ლენინგრადელმა ფოტოკორესპონდენტმა ვ. გალაქტიონოვმა გამოგზავნა ამ შეჯიბრებაში დრონოვას გამოსვლების ამსახველი სურათები. ნახეთ, რა საოცარი ხტომით ასრულებს სპორტსმენი ორძელიდან დასკვნით ილეთს. მოძრაობათა სინაზე, სინატიფე, ამასთან, რთული აკრობატული ელემენტების ნაერთი— ასეთია ნინას თავისუფალი ვარჯიში. მართალია, თბილისელმა მოსწავლემ ხტომებშიც ოქროს მედალი დაიმახსოვრა, მაგრამ ამ სურათზე აღბეჭდილია მისი პირველი ნახტომი, რომელიც მაინცდამაინც სრულყოფილი არ იყო. სამაგიეროდ, მეორე ნამდვილი „ოქროს ნახტომი“ იყო. დვირზე ასეთი ილეთის შესრულება ბევრ გამოცდილ ტანმოვარჯიშესაც შეშურდება.



ფეხბურთი. 8 ნოემბერი. საქართველოს პირველობა. „სინათლის“ სტადიონი. „სინათლე“ (თბილისი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე). დასაწყისი 14 ს.

სახელოვან იუბილეს ეძღვნება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს ეძღვნება ფეხბურთელთა სპეციალური ტურნირი, რომელიც 15-22 ნოემბერს ჩატარდება თბილისის სტადიონებზე.

საიუბილეო ტურნირში, რომლის მიზანია ახალგაზრდა, პერსპექტიულ მოთამაშეთა გამოვლენა, მონაწილეობას მიიღებენ თბილისის „დინამოს“ დუბლიორები, „ბ“ კლასის გუნდების 2 ნაკრები, რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე საუკეთესო მოთამაშეთაგან დაკომპლექტებული 2 ნაკრები და ახალგაზრდული ნაკრები, რომელიც „იმედის თასზე“ გამოდიოდა.

გათამაშება ჩატარდება ერთ წრედ. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ 23 წლის ასაკამდე ფეხბურთელებს. რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე გუნდები, რომელთა შემადგენლობიდანაც ნაკრებში ჩაირიცხება 2 და მეტი ფეხბურთელი, კალენდრით გათვალისწინებულ მატჩებს საქართველოს პირველობაზე ჩაატარებენ მოგვიანებით.

მოთამაშეთა შეცვლა მატჩების მსვლელობაში განუსაზღვრელია. ტურნირის მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კ. ყრუაშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	32	19	7	6	50—22	45
ცსკა	31	19	5	7	44—17	43
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	32	12	14	6	43—25	38
„დინამო“ (თბილისი)	31	13	8	10	41—29	34
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	32	10	14	8	27—25	34
„ტორპედო“ (მოსკოვი)	32	12	10	10	36—38	34
„დინამო“ (კიევი)	32	14	5	13	36—32	33
ასკ (დონის როსტოვი)	32	9	15	8	28—29	33
„დინამო“ (მინსკი)	32	11	10	11	33—29	32
„შახტიორი“ (დონეცკი)	32	11	8	13	35—50	30
„ნევთჩი“ (ბაქო)	31	9	11	11	27—26	29
„არარატი“ (ერევანი)	31	10	9	12	30—32	29
„ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	32	8	12	12	28—46	28
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	32	10	7	15	30—40	27
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	32	8	10	14	25—38	26
„ტორპედო“ (ქუთაისი)	32	6	11	15	24—42	23
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	32	7	8	17	31—48	22

ქორიძე — მატჩის გმირი

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი. 4 ნოემბერი.

„დინამო“ (ბათუმი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 1:0 (0:0).

„დინამო“: პავლოვი, ჩხაიძე, წივწივაძე, ქორიძე, გიორგიადი, ილურიძე, მაჩხელიანი, ესებუა (ცინარიძე), ვახ. კვიტაიშვილი (ვაუ. კვიტაიშვილი), ჩხარტიშვილი, რამიშვილი.

„ტორპედო“: დავიდკინი, ტიმოშევსკი, კურნოსოვი, კანევი, შაფრანი (ტოლჩენიკოვი), კოზლოვი (გრიგორიევი), კისლიჩენკო, ბულგაკოვი, ტიკოვი, სლიუსარენკო, ვასილენკო.

მსაჯი ა. მიხაილოვი (ბარნაული).

ბათუმის დინამოელებმა ტაგანროგის „ტორპედოსთან“ შეხვედრაში თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს და ისე წარმართეს თამაში, რომ მას მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. უკვე მე-3 წუთზე დავიდენკოს ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა ესებუასგან. შემდეგ ცენტრალურმა მცველმა ქორიძემ ზედიზედ ორჯერ ჩააგდო მოწინააღმდეგის კარი უაღრესად სახიფათო მდგომარეობაში. საერთოდ, ქორიძემ ჩინებულად ჩაატარა ეს შეხვედრა და ტაგანროგელთათვის ყველაზე სახიფათო შემტევ ფეხბურთელს წარმოადგენდა.

მიუხედავად ასეთი დიდი უპირატესობისა ბათუმელებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს მეტოქის კარის აღება და ისიც მატჩის დასასრულს. 88-ე წუთზე რამიშვილმა საგოლე პოზიციაში გაიყვანა ვაჟა კვიტაიშვილი. მან ძლიერად დაარტყა და კურნოსოვს მხოლოდ ისღა დარჩენოდა, ხელით გამოეტანა ბურთი კარის ხაზიდან. პენალტი ზუსტად გამოიყენა ქორიძემ და ბათუმელებმა თავიანთი სასარგებლოდ დაამთავრეს ეს საინტერესო შეხვედრა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ყოველ ტაიმში — თითო გოლი

გორი. ქალაქის სტადიონი. 4 ნოემბერი.

„ილა“ (გორი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0 (1:0).

„ილა“: ჩლაიძე, კოზინი, კობიაშვილი, ნასარიძე, გლავადსკი, ეზუბბაია, გელდიაშვილი, ბეიშვილი, ბურჯანაძე, კაპანაძე, პაპიაშვილი, მაღრაძე.

„დინამო“: მოშკინი, ჩერნენკო, გარკუშინი, პოლიაკოვი, დუდარინი (სოკოლოვი), აშრეევი, რიბკინი, ყურავლიოვი, სოსნოვსკი, ლატვინი, მეშკოვი (კარახიოვი).

მსაჯი რ. ტიტოვი (ასტრახანი).

საინტერესო ბრძოლა მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა. გორელებმა საკმაოდ ადრე მიაღწიეს საერთო უპირატესობას და უკვე მე-13 წუთზე დაწინაურდნენ: ეზუბბაიამ მარცხენა ფლანგიდან კარგად მიაწოდა ბურთი დინამოელთა საჯარიმო მოედანზე, კაპანაძე დროზე გავიდა წინ და თავით გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარში — 1:0.

„დილის“ იერიშებში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველებიც, რის შედეგად სტუმრებს უმთავრესად დაცვაში უხდებოდათ თამაში.

დინამოელებმა კონტრთამაშის შექმნა სცადეს შესვენების შემდეგ, მაგრამ „ილამ“ ინიციატივა არ დათმო. 15 წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ბურთმა ისევ „დინამოს“ ნახევარზე გადინაცვლა. მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სტავროპოლელთა მცველი უხეშად ეთამაშა პაპიაშვილს. კაპანაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 2:0.

ბ. გოგალიშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

II ჯგუფი — ქალი

II ზონა

4 ნოემბერს გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონის გუნდების სხვა შეხვედრები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 3:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 6:2, „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:2, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 7:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (ტულა) 0:2, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 4:0, „ვოლგა“ (კალინინი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:3, „ვოლგა“ (გორკი) — „სატურნი“ (რიბინსკი) 3:2.

ერთი შეჯიბრების ორი მხარე

კაუნასი, 6 ნოემბერი. გუშინ აქ დამთავრდა ექვსთა ტურნირი კალათბურთში. სპარეზობაში მონაწილეობდნენ გასული საკავშირო ჩემპიონატის ლიდერები — ლენინგრადის „სპარტაკი“ (II ადგილი), კიევის „სტროიტელი“ (III ადგილი), კაუნასის „ჟალგირისი“ (IV ადგილი), ტარტუს „კალევი“ (VI ადგილი), უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის (რტი) კოლექტივი და II ჯგუფის გუნდი — ვილნიუსის „სტატიბა“.

ტურნირის საბოლოო შედეგებს მხოლოდ სპორტული მნიშვნელობა როდი აქვს. გუნდებმა, პირველ ყოვლისა, მხედველობაში მიიღეს XXXVIII საკავშირო ჩემპიონატის თავისებურება, კონკრეტულად კი ის, რომ მომავალ ტურნირში ძირითადი შემადგენლობების გვერდით, ცალკე გუნდებად დუბლიორებიც იასპარეზებენ (ყოველი კალენდარული მატჩის წინ 2 საათით ადრე გაიმართება დუბლშემადგენლობათა შეხვედრა). ცხადია, ეს ახალი სისტემა კალათბურთელთა წინაშე ახალ ამოცანებს სახავს, რაც, უწინარეს ყოვლისა, სრულფასოვანი რეზერვის მომზადებაში გამოიხატება.

აი, სწორედ ამ გარემოებას მიაქცია მთავარი ყურადღება კაუნასის ტურნირის მონაწილეებმა. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომლებმაც ვუშინ დამთავრებულ შეჯიბრებაში მთავარი სიძნელეები თავიანთ თავზე გადაიტანეს. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს: ლენინგრადის „სპარტაკში“ — 18 წლის მაკეევმა (196 სმ), 17 წლის კოჩერგინმა (204 სმ), 20 წლის პოტანინმა (202 სმ), 19 წლის არზამასოვმა (190 სმ); კაუნასის „ჟალგირისში“ — 16 წლის სცინსკასმა (200 სმ), 17 წლის მასიულისმა (195 სმ), 19 წლის რიუკამ (191 სმ) და სვერსკისმა (195 სმ); ტარტუს „კალევში“ — 19 წლის რანდალამ (191 სმ), 18 წლის ანდერმა (190 სმ), 19 წლის ვარულმა (189 სმ)...

I ადგილი დაისაკუთრა კიევის „სტროიტელმა“, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მინსკის რტი-ს მოუგო ანგარიშით 73:64. უკრაინელთა წარმატებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათ მატჩების უმრავლესობა პოლიოდას, კოვალენკოს, სმოლიაკოვისა და მარტინოვის გარეშე ჩაატარეს. მაგრამ 33 წლის ვეტერანებს ვალტინსა და გლადუნს კარგად აუბეს მხარი ახალგაზრდებმა და ძნელ ტურნირში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

მინსკის რტი II ადგილზე გავიდა. ეს ამ ახალგაზრდა კოლექტივის დიდი წარმატებაა. დებიუტანტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი 18 წლის ბელკოვმა (201 სმ), აგრეთვე, 19 წლის ლადუტკომ (193 სმ) და ელანსკიხმა (199 სმ).

III ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ „ჟალგირისი“ და „კალევი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — კაუნასელმა კალათბურთელებმა — 82:78.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვილნიუსის „სტატიბამ“, რომელმაც ბოლო დღეს დაამარცხა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 88:77.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 10 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

დიდი ტურნირის პოლოდინში

როგორც ცნობილია, ფიშერმა პეტროსიანი დაამარცხა „საუკუნის მატჩში“, მერე პირველი ადგილები დაიკავა როვნისა და ბუენოს-აირესის საერთაშორისო ტურნირებში, აგრეთვე, ელვისებურ ტურნირში. ამერიკელი მოჭადრაკის ასეთი წარმატების შემდეგ მთელს მსოფლიოში ლაპარაკობდნენ, ფიშერი უნდა დაუშვან საზონთაშორისო ტურნირშიო, თუმცა მას შესარჩევ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. ეს საკითხი ფიდე-ს კონგრესმაც განიხილა, მაგრამ უარი თქვა ფიშერისთვის ადგილის მიცემაზე: ამერიკის ფედერაციამ თვითონ ნახოს გამოსავალიო. და აი, დიდოსტატმა ბ. ბენკომ თავისი საგზური ფიშერს დაუთმო. საჭადრაკო სამყარო თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ ახლა საზონთაშორისო ტურნირის ირგვლივ იმსჯელოს.

საზონთაშორისო ტურნირის ყველა მონაწილე ახლა პალმა დე-მალიორკაშია (ესპანეთი) ჩასული. ეს უაღრესად საინტერესო ტურნირი სტარტს 8 ნოემბერს აიღებს.

1972 წელს მსოფლიო ჩემპიონმა ბ. სპასკიმ ამ ტიტულის ახალ მაძიებელთან მატჩში უნდა დაიმტკიცოს ჭადრაკის მეფის უფლებები. ამ მაძიებელს 1971 წელს გამართული 8 პრეტენდენტის მატჩები დასახელებს. ორი პრეტენდენტი უკვე ცნობილია — ტ. პეტროსიანი და ვ. კორჩნოი, 6 პრეტენდენტს პალმა დე-მალიორკის საზონთაშორისო ტურნირი გამოავლენს.

საზონთაშორისო ტურნირში ითამაშებს 24 მოჭადრაკე — 16 დიდოსტატი და 8 ოსტატი. თამაშის უფლება ყველამ (ფიშერისა და ლარსენის გარდა) ზონალურ ტურნირებში მოიპოვა. აი, ისინიც: დიდოსტატები ვ. სმისლოვი, ე. გელერი, მ. ტაიმანოვი, ლ. პოლუგაევსკი (ყველა — სსრ კავშირი), რ. ფიშერი, ს. რეშევსკი (ორივე — აშშ), ს. გლიგორიჩი, მ. მატულოვიჩი, ბ. ივკოვი (ყველა — იუგოსლავია), ვ. ჰორტი, მ. ფილიპი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ბ. ლარსენი (დანია), ვ. ულმანი (გდრ), ლ. პორტიში (უნგრეთი), მ. ნაიდორფი, ო. პანო (ორივე — არგენტინა); ოსტატები



სოვანი რეზერვის მომზადებაში გამოიხატება.

აი, სწორედ ამ გარემოებას მიაქცია მთავარი ყურადღება კაუნასის ტურნირის მონაწილეებმა. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა კალათბურთელი, რომლებმაც ვუშინ დამთავრებულ შეჯიბრებაში მთავარი სიძნელეები თავიანთ თავზე გადაიტანეს. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვეს: ლენინგრადის „სპარტაკში“ — 18 წლის მაკეევმა (196 სმ), 17 წლის კოჩერგინმა (204 სმ), 20 წლის პოტანინმა (202 სმ), 19 წლის არზამასოვმა (190 სმ); კაუნასის „ჟალგირისში“ — 16 წლის სცინსკასმა (200 სმ), 17 წლის მასიულისმა (195 სმ), 19 წლის რიუკამ (191 სმ) და სვერსკისმა (195 სმ); ტარტუს „კალევში“ — 19 წლის რანდალამ (191 სმ), 18 წლის ანდერმა (190 სმ), 19 წლის ვარულმა (189 სმ)...

I ადგილი დაისაკუთრა კიევის „სტროიტელმა“, რომელმაც გადამწყვეტი შეხვედრა მინსკის რტი-ს მოუგო ანგარიშით 73:64. უკრაინელთა წარმატებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათ მატჩების უმრავლესობა პოლიოდას, კოვალენკოს, სმოლიაკოვისა და მარტინოვის გარეშე ჩაატარეს. მაგრამ 33 წლის ვეტერანებს ვალტინსა და გლადუნს კარგად აუბეს მხარი ახალგაზრდებმა და ძნელ ტურნირში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს.

მინსკის რტი II ადგილზე გავიდა. ეს ამ ახალგაზრდა კოლექტივის დიდი წარმატებაა. დებიუტანტთა შორის განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი 18 წლის ბელკოვმა (201 სმ), აგრეთვე, 19 წლის ლადუტკომ (193 სმ) და ელანსკიხმა (199 სმ).

III ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ „ჟალგირისი“ და „კალევი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — კაუნასელმა კალათბურთელებმა — 82:78.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვილნიუსის „სტატიბამ“, რომელმაც ბოლო დღეს დაამარცხა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი — ლენინგრადის „სპარტაკი“ — 88:77.

ესპანეთს გაფრინდნენ

გუშინწინ მოსკოვიდან ესპანეთის კუნძულ მალიორკაზე გაფრინდნენ საბჭოთა დიდოსტატები — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი, ე. გელერი, მ. ტაიმანოვი და ლ. პოლუგაევსკი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირში, რომელიც 8 ნოემბერს გაიხსნება ქალაქ პალმაში.

ვის დარჩება თასი?

მოსკოვში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გრძელდება სსრ კავშირის თასის პირველი გათამაშება. ორი ნახევარფინალური მატჩიდან ერთი უკვე დამთავრდა. რიგელმა ოსტატმა ა. შმიტმა მოუგო ლ. ალბურტს (ოდესა) — 2,5:1,5. როგორც ვიუწყებოდით, მატჩის პირველი ორი პარტია შმიტმა მოიგო. მესამე პარტია ყაიმით დასრულდა, ხოლო მეოთხეში — ალბურტმა გაიმარჯვა. ამრიგად, შმიტი ფინალში გავიდა, მაგრამ ჯერ არ იცის ვის უნდა ეთამაშოს — დ. ბრონშტეინსა (მოსკოვი) თუ ვ. სავონს (ხარკოვი).

საქმე ისაა, რომ ბრონშტეინ—სავონის ორთაბრძოლაში მესამე და მეოთხე პარტიები, ისევე როგორც პირველი ორი, ყაიმით დასრულდა. დაინიშნა მეხუთე პარტია, რომელშიც თეთრებით ბრონშტეინი ითამაშებს. ეს პარტიაც ყაიმით რომ დამთავრდეს მეტოქენი დამატებით ორ პარტიას გაითამაშებენ. თუ ეს მატჩიც ყაიმით დასრულდა, მაშინ დავას გადაწყვეტს მეტოქეთა მიერ ორივე ეტაპზე დაგროვილი ქულების საერთო ჯამი. თუ ამანაც ვერ გადაჭრა საკითხი, მაშინ მხედველობაში მიიღებენ, როგორ ითამაშეს მოჭადრაკეებმა შავებით. თუ საქმეს ვერც ამან უშველა, მაშინ გამარჯვებულს კენჭისყრა დასახელებს.

მ. ტალის სეანსი

მეტალურგთა ქალაქ ბელაია კალიტვაში (როსტოვის ოლქი) გაიხსნა ახალი საჭადრაკო კლუბი, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მოჭადრაკეთა შემოქმედებითი ზრდისა და სპორტული ოსტატობის ამაღლებისთვის. კლუბის გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო ყოფილი დიდოსტატი მ. ტალი, რომელმაც ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 30 დაფაზე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

სსრ კავშირის პირველობა



„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი)

8 ნოემბერი
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 16 ს.

9 ნოემბერი
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს. 30 წ.